1939/2
585/1939/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2-3 (4-5) აგვისტო 1939 წ.

3609

შინაარსი

I. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები.

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კანონი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 50, 55, 77, 81, 86, 87, 88 და 107 მუხლის ცვლილებებისა და დამატების შესახებ.

კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.

დამტკიცება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. სიმონ გიორგის-ძე ხოშტარიას დანიშვნის შესახებ.

დამტკიცება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა დანიშვნის შესახებ.

ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

ამხ. მ. მ. გვიშიანის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისა და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ამხ. ი. ა. დევსურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ამხ. გრიგოლ ესეს-ძე ნარსიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ.

IV. საინფორმაციო ცნობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, შემოსავლის ნაწილში—1.158.882.1 ათასი მან. რაოდენობით და გასავლის ნაწილში—1.158.882.1 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1939 წ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში გადარიცხვების ჩათვლით, შემოსავლის ნაწილში—971.441 ათასი მან. რაოდენობით და გასავლის ნაწილში—490.580 ათასი მან. რაოდენობით.

3. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების 1939 წლ. ბიუჯეტები შემდეგი რაოდენობით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი (ადგილობრივი საშემოსავლო წყაროებიდან)	გასავალი
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . .	25.876,7	77.696,3
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . .	15.747,5	54.348,7
3. სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქი	2.109,8	30.769,2
4. ქალაქი თბილისი	85.465,5	158.432,8
5. აბაშის რაიონი	1.096,8	4.779,9
6. ამბროლაურის „	710,3	5.958,8
7. ადიგენის „	645,5	5.390,1
8. ახალციხის „	2.243,5	8.514,5
9. ახალქალაქის „	778,6	8.775,5
10. ალბულაღის „	725,1	6.224,0
11. ასპინძის „	218,8	4.770,8
12. ბაღდათის „	350,0	3.617,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

	შემოსავალი (ადგილობრივი საშემოსავლო წყაროებიდან)	გასავალი
13. ბოგდანოვკის რაიონი	516,2	4.891,6
14. ბორჩალოს „	684,4	6.455,2
15. ბაშკიჩეთის „	329,2	4.620,1
16. ბორჯომის „	1.316,8	6.520,6
17. გორის „	2.494,2	13.062,3
18. გურჯაანის „	1.003,8	8.014,6
19. თბილისის „	1.158,3	9.045,3
20. დუშეთის „	468,1	6.524,1
21. ვანის „	312,6	4.903,0
22. ზემო-სვანეთის „	238,7	3.760,8
23. ზესტაფონის „	3.142,6	9.614,4
24. ზუგდიდის „	1.801,0	10.086,1
25. თელავის „	2.387,9	11.874,4
26. თიანეთის „	232,5	3.010,9
27. კასპის „	939,8	5.483,5
28. ლაგოდეხის „	559,3	5.831,6
29. ლანჩხუთის „	904,8	5.828,6
30. ლუქსემბურგის „	554,3	4.817,7
31. გეგეჭკორის „	500,1	6.715,0
32. მახარაძის „	2.404.1	11.810,4
33. ონის „	478,5	5.523,9
34. სამტრედიის „	1.717,3	7.980,0
35. ცხაკაიას „	1.819,0	7.979,4
36. სიღნაღის „	1.087,8	7.360,8
37. საგარეჯოს „	398,7	4.509,3
38. ტყიბულის „	1.184,7	4.719,7
39. ქ. ქუთაისის „	9.673,8	27.703,8
40. ქვემო-სვანეთის „	193,3	2.759,4
41. ყარაიას „	244,2	2.823,0
42. ყვარლის „	538,0	4.494,6
43. ყაზბეგის „	159,3	2.496,5
44. ჩოხატაურის „	563,5	5.908,2
45. ჩხარის „	229,9	4.041,5
46. ჩხოროწყუს „	403,2	4.266,6
47. ქ. ფოთის „	2.278,2	8.869,7
48. ცაგერის „	307,8	4.469,7

ეროვნული ბიბლიოთეკა

49.	წალენჯიხის	„	392,3	4.188,5
50.	წალკის	„	779,8	5.315,2
51.	ჭიათურის	„	2.163,0	11.964,2
52.	ხაშურის	„	2.110,5	10.101,1
53.	ორჯონიკიძის	„	630,0	5.178,4
54.	წულუკიძის	„	745,8	5.852,4
55.	ხობის	„	488,6	3.805,6
56.	წითელწყაროს	„	937,1	3.842,7
	ს უ ლ		187.441,1	668.302,1

4. დამტკიცდეს ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან შემდეგი რაოდენობით:

		(ათას მანეთობით)
1.	აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	51.819,6
2.	აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	38.601,2
3.	სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	28.659,4
4.	ქალაქი თბილისი	72.967,3
5.	აბაშის რაიონი	3.683,1
6.	ამბროლაურის „	5.248,5
7.	ადიგენის „	4.744,6
8.	ახალციხის „	6.271,0
9.	ახალქალაქის „	7.996,9
10.	აღბულაღის „	5.498,9
11.	ასპინძის „	4.552,0
12.	ბაღდათის „	3.267,1
13.	ბოგდანოვკის „	4.375,4
14.	ბორჩალოს „	5.770.8
15.	ბაშკიჩეთის „	4.290,9
16.	ბორჯომის „	5.203,8
17.	გორის „	10.568,1
18.	გურჯაანის „	7.010,8
19.	თბილისის „	7.887,0
20.	დუშეთის „	6.056,0
21.	ვანის „	4.590,4
22.	ზემო-სვანეთის „	3.522,1
23.	ზესტაფონის „	6.471,8
24.	ზუგდიდის „	8.285,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

		(ათას მანეთობით)
25. თელავის	რაიონი	9.486,5
26. თიანეთის	„	2.778,4
27. კასპის	„	4.543,7
28. ლაგოდეხის	„	5.272,3
29. ლანჩხუთის	„	4.923,8
30. ლუქსემბურგის	„	4.263,4
31. გეგეჭკორის	„	6.214,9
32. მახარაძის	„	9.406,3
33. ო ნ ი ს	„	5.045,4
34. სამტრედიის	„	6.262,7
35. ცხაკაიას	„	6.160,4
36. სიღნაღის	„	6.273,0
37. საგარეჯოს	„	4.110,6
38. ტყიბულის	„	3.535,0
39. ქ. ქუთაისის	„	18.030,0
40. ქვემო-სვანეთის	„	2.566,1
41. ყარაიას	„	2.578,8
42. ყვარლის	„	3.956,6
43. ყაზბეგის	„	2.337,2
44. ჩოხატაურის	„	5.344,7
45. ჩხარის	„	3.811,6
46. ჩხოროწყუს	„	3.863,4
47. ქ. ფოთის	„	6.591,5
48. ცაგერის	„	4.161,9
49. წალენჯიხის	„	3.796,2
50. წალკის	„	4.535,4
51. ჭიათურის	„	9.801,2
52. ხაშურის	„	7.990,6
53. ორჯონიკიძის	„	4.548,4
54. წულუკიძის	„	5.106,6
55. ხ ო ბ ი ს	„	3.317,0
56. წითელწყაროს	„	2.905,6
ს უ ლ		480.861,0

5. დაწესდეს 1939 წლისათვის სახელმწიფო გადასახადებისა და სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში შემდეგი პროცენტებით:

ა) სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადასახადიდან, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და არასასაქონლო ოპერაციების გადასახადიდან—ამ შემოტანილი თანხების 100%-ის რაოდენობით;

ბ) მუშა-მოსამსახურეთა და ქალაქის სხვა მოსახლეობასა და აგრეთვე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის გავრცელებულ სახელმწიფო სესხთა ანარიცხებიდან, ქალაქად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებიდან თამბაქოსი და სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა სპეციალური ანარიცხებიდან იმ შემოსული თანხების 100%-ის რაოდენობით, რომლებიც ჩაირიცხება საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენების სახელმწიფო გადასახადიდან შემოსული თანხის 50%;

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ბრუნვის გადასახადიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონებისათვის დამტკიცებული ანარიცხების თანხების შესაბამისად, დააწესოს ამ გადასახადის პროცენტული ანარიცხები თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონებისათვის.

7. საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამტკიცდეს საშემოსავლო ნაწილში 805.395.867 მანეთისა და საგასავლო ნაწილში—789.090.996 მანეთის რაოდენობით, გასავალთან შედარებით შემოსავლის გადამეტებით 16.304.871 მანეთის რაოდენობით.

8. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას-მეთვალყურეობის გაწევას მასზე, რომ სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის მიცემული სახელმწიფო სახსრები სწორად და დაზოგვით იხარჯებოდეს.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობისათვის მეთვალყურეობის გაწევის დარგში და არ დაუშვან საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევა და სახელმწიფოს მიერ გაცემული სახსრების უყაირათოდ დახარჯვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

თბილისი
1939 წ. 22 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

მუხლი 1. შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

მუხლი 2. დაეკისროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობა და სწორი გამოყენების ორგანიზაცია, საავტომობილო პარკის (ავტოსარემონტო ქარხნები, მომსახურების სადგურები, ბენზინსვეტები) რემონტისა და მომსახურების ორგანიზაცია, აგრეთვე კადრების მომზადება საავტომობილო მეურნეობისათვის.

მუხლი 3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაზღვროს იმ საავტომობილო მეურნეობათა და მათ მომსახურე წამოწყებათა ნუსხა, რომლებიც უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს.

მუხლი 4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 56 მუხლებში შეტანილ იქნას სათანადო დამატება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

თბილისი
1939 წ. 23 ივლისი.

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 50, 55, 77, 81, 86, 87, 88 და 107 მუხლის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. რაიონების დაწვრილერთეულებასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნას ცვლილებანი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისათვის დადგენილ წარმომადგენლობის ნორმებში, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77, 86, 87 და 88 მუხლებით.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77 მუხლი გამოიხატოს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 77. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ირჩევენ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 2.000 მცხოვრებზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86 მუხლი გამოიხატოს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 86. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 1.000 მცხოვრებზე; იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა 25.000 კაცამდეა, ირჩევენ 25 დეპუტატს; რაიონში, რომლის მოსახლეობა 60.000 კაცს აღემატება, ირჩევენ არა უმეტეს 60 დეპუტატისა“.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87 მუხლი გამოიხატოს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები და ქალაქის რაიონული საბჭოები, ქალაქისა ან ქალაქის რაიონის სიდიდის მიხედვით, აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი არა ნაკლებ, ვიდრე 350-სა და არა უმეტეს, ვიდრე 500 მცხოვრებზე; ქალაქსა და ქალაქის რაიონში, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 12.000-მდე კაცს, ირჩევენ 35 დეპუტატს;

ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭო აირჩევა ნორმით — ერთი დეპუტატი 1.000 მცხოვრებზე“.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 88 მუხლი გამოიხატოს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებზე; იმ სოფლებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, ირჩევენ 9 დეპუტატს, ხოლო, სადაც მოსახლეობა 2.500 აღემატება, არაუმეტეს 25 დეპუტატისა.

საარჩევნო ნორმებს მშრომელთა დეპუტატების თვითეული რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოსათვის აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“ იმ საარჩევნო ნორმების ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია 86, 87 მუხლებში და ამა მუხლში“.

2. დამტკიცდეს შექმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ქალაქ თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონისა, ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონისა, მცხეთის, საჩხერის, ქარელისა და წყალტუბოს რაიონებისა, გამოყოფა ქუთაისის რაიონიდან ქალაქ ქუთაისისა, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეულისა, და მიკუთვნება იმ ქალაქებზე, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლი და 107 მუხლი შემდეგნაირად გამოიხატოს:

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდათის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემოსვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიას, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელ-წყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის, რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ქუთაისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„**107 მუხლი.** ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს“.

3. დამტკიცდეს შექმნა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 მუხლი შემდეგნაირად გამოიხატოს:

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან — სახალხო კომისარიატები:

კვების მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

4. დამტკიცდეს შექმნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოსი.

ამის შესაბამისად და შესაბამისად ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლი შემდეგნაირად გამოიხატოს:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ სახალხო კომისრები:

კვების მრეწველობისა;

ხორცისა და რძის მრეწველობისა;

მსუბუქი მრეწველობისა;

სატყეო მრეწველობისა;

მიწათმოქმედებისა;

მარცვლეულობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

ფინანსთა;

ვაჭრობისა;

შინაგან საქმეთა;

იუსტიციისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

განათლებისა;

ადგილობრივი მრეწველობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

საავტომობილო ტრანსპორტისა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;

საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი".

5. დამტკიცდეს შექმნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოსი.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 81 მუხლი შემდეგნაირად გამოიხატოს:

„**მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჰქმნის შემდეგ განყოფილებებს:

მიწათმოქმედებისა;

საფინანსოს;

ვაჭრობისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

სახალხო განათლებისა;

ადგილობრივი მრეწველობისა;

კომუნალური მეურნეობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყეო მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
საგზაოს;
საერთოს;
ხელოვნების საქმეთა;
საგეგმო კომისიას;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;
და, გარდა ამისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ:
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველო;
იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველო;
დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ*.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

---

*) დებულება გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი"-ს 1939 წლის 30 ივლისის № 173 (5573) და გამოცემულია ცალკე ბროშურად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. სიმონ გიორგის-ძე ხოშტარიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. სიმონ გიორგის-ძე **ხოშტარიას** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

დამტკიცება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა დანიშვნის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სახალხო კომისართა დანიშვნის შესახებ:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად — **რაფავა** აქვსენტი ნარიკის-ძე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად — **გოგუა** ვასილ ბარნაბის-ძე.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად — **წიკლაური** ილია ანდრიას-ძე.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად — **გიორგაძე** ნესტორ ასალოს-ძე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად — **ბუხნიკაშვილი** ალექსანდრე ვარდენის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ლ. პ. ბ ე რ ი ა ს განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

იმის გამო, რომ ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია** დამტკიცებულია სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ამხ. მ. მ. გ ვ ი შ ი ა ნ ი ს განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისა და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

იმის გამო, რომ ამხ. მიხეილ მაქსიმეს-ძე **გვიშიანი** გადაყვანილია სამუშაოდ საქართველოს სს რესპუბლიკის გარეთ, განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისა და უმაღლესი საბ-ჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. მაკარ ივანეს-ძე **ჯაში** არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ამხ. ი. ა. დევსურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. ივანე ალექსის-ძე **დევსურაშვილი** არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ამხ. გრიგოლ ესეს-ძე ნარსიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. გრიგოლ ესეს-ძე **ნარსია** არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი.
1939 წ. 23 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ჯავახია აკაკი ფარნაოზის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები:

1. **ბასილაია** ისიდორე სოსიას-ძე,
2. **ბახტაძე** სევერიან პავლეს-ძე,
3. **ბერბერაშვილი** ივანე მიხეილის-ძე,
4. **გაგოშიძე** გალაქტიონ გრიგოლის-ძე,
5. **დევდარიანი** ვლადიმერ სერგოს-ძე,
6. **ეფრემიძე** ილია ეგნატეს-ძე,
7. **ზურაბოვი** არუთინ მელქოს-ძე,
8. **თევზაძე** ვასილ იოსების-ძე,
9. **თოდუა** ფილიპე სტეფანეს-ძე,
10. **იმერლიშვილი** ილია ზაქარიას-ძე,
11. **კაპანაძე** უშანგი თეიმურაზის-ძე,
12. **კიკაჩეიშვილი** ალექსანდრე პარმენის-ძე,
13. **ლომიძე** მიხეილ ყარამანის-ძე,
14. **მამალაძე** ვლადიმერ გერასიმეს-ძე,
15. **მასხარაშვილი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე,
16. **მარგიევი** ნიკოლოზ რაჟდენის-ძე,
17. **მაჭავარიანი** როსტომ გრიგოლის-ძე,
18. **მეუნარგია** პეტრე პავლეს-ძე,
19. **მჭედლიძე** იოსებ გიორგის-ძე,
20. **ნემსიწვერიძე** ალექსანდრა ვასილის ასული,
21. **ოდიშვილი** ისიდორე სიმონის-ძე,
22. **პაპაიანი** ივანე არკადის-ძე,
23. **სამთელაძე** ივანე ილარიონის-ძე,
24. **სოსელია** ნინო მაქსიმეს ასული,
25. **ქაჯაია** სერგო იასონის-ძე,
26. **ცქვიტარია** მელქისედეკ ბესარიონის-ძე,
27. **წურწუმია** თომა სამსონის-ძე,
28. **ჭელიძე** სერაფიონ ლუარსაბის-ძე,
29. **ჭყონია** კალისტრატე მელიტონის-ძე,
30. **ჯანელიძე** ვარლამ სიმონის-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. **ჯაფარიძე** ტოსია მიხეილის ასული.
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულნი:
აბდალაძე სერგო იაკობის-ძე,
აბრამოვი სევასტიანე ილიას-ძე,
აზატოვი ანდრია არშაკის-ძე,
აივაზიშვილი ვლადიმერ მიხეილის-ძე,
აივაზოვი ერვანდ ოვანის-ძე,
აკიმოვიჩი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე,
აკოფოვი რუბენ არტემის-ძე,
ალთუნაშვილი მიხეილ პოლოსის-ძე,
ანდრიენკო ვასილ მიკიას-ძე,
ანზელმი ერნსტ გოტლიბის-ძე,
არუთინოვი კარაპეტ მელქუმის-ძე,
ახვერდოვი ალექსანდრე იოსების-ძე,
ბაგრატაშვილი ბაგრატ გიორგის-ძე,
ბარამია ბიქტორ გვათას-ძე,
ბარხუდარიანი ბახშო სიმონის-ძე,
ბახტაძე კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე,
ბებია ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე,
ბელიკოვი გრიგოლ ვასილის-ძე,
ბელოვი კონსტანტინე თედორეს-ძე,
ბენდიანიშვილი ლუკა სტეფანეს-ძე,
ბერიძე ყარა ბილალის-ძე,
ბერძული ნოე სპირიდონის-ძე,
ბეშკენაძე ქსენოფონტე რაჟდენის-ძე,
ბეშკუროვი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე,
ბიჭაშვილი დარია არჩილის ასული,
ბოგდანოვა ხალიმ საბიტის ასული,
ბოლტაევსკი თედორე ტიმოთეს-ძე,
ბორტიშვილი სიმონ თედორეს-ძე,
ბოხუა ვლადიმერ ივანეს-ძე,
გაბისონია ირადიონ ივანეს-ძე,
გაგუა დიმიტრი გიორგის-ძე,
გათიკაშვილი გიორგი დავითის-ძე,
გეგეშიძე ლევან გრიგოლის-ძე,
გელაშვილი მურთაზ შარიფ ოღლი,
გელაშვილი გიორგი ეპიფანეს-ძე,
გელბახიანი ბიქტორ ივანეს-ძე,
გვენეტაძე ისმაილ თეიმურაზის-ძე,
გვეტაძე ვარდენ ნესტორის-ძე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგინავა მატრონა ვასილის ასული,
გოგოლაძე ნიკოლოზ როსტომის-ძე,
გოზალოვი ვასილ მიხეილის-ძე,
გოლოშვილი ალექსანდრე ივანეს-ძე,
გორდეზიანი ნიკოლოზ ფრიდონის-ძე,
გრაჩოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე,
გრებენიუკი ათანასი მიხეილის-ძე,
გუნია ელიზბარ თეიმურაზის-ძე,
გურგენიძე ლონგინოზ სოლომონის-ძე,
გუჯარაიძე შაქრო ნიკოლოზის-ძე,
დათებაშვილი პავლე სტანისლავის-ძე,
დანელია ისაკ გიორგის-ძე,
დანილოვი გრიგოლ ნიკიფორეს-ძე,
დარისპანაშვილი ელენე ნიკოლოზის ასული,
დარჯანია სევერიანე იულონის-ძე,
დვალი ანტონ ასკალონის-ძე,
დოგუზაშვილი ილია გიორგის-ძე,
დროზდოვი დიმიტრი ივანეს-ძე,
დუბინინა მარიამ გრიგოლის ასული,
დუნიამალიევი კახრამან გასანის-ძე,
ებრალიძე შოთა კონსტანტინეს-ძე,
ევდოკიმოვი დიმიტრი ნიკოლოზის-ძე,
ეიტინგანი ბიქტორ სოლომონის-ძე,
ეიუბოვი ბადრიადი სულეიმან ოღლი,
ეკნატოსოვი ივანე მარტიროსის-ძე,
ერემკო თედორე ვასილის-ძე,
ვერგელესი პავლე ალექსის-ძე,
ზაგრებელნი ალექსი ვასილის-ძე,
ზაიარნიუკი ნიკიტა ტროფიმეს-ძე,
ზანგურაშვილი გიორგი იოსების-ძე,
ზაპოროჟცევა ანა ნიკოლოზის ასული,
ზაქაშვილი გრიგოლ პავლეს-ძე,
ზახუტცკი ივანე ალექსის-ძე,
ზენაიშვილი სოლომონ ანტონის-ძე,
ზირაქაშვილი ნიკოლოზ ალექსის-ძე,
ზლობინი მიხეილ პეტრეს-ძე,
ზურიკაშვილი ვასილ მახარის-ძე,
თათეიშვილი ივანე იაკობის-ძე,
თებელაშვილი ოღლა ივანეს ასული,
თევდორაძე ონისიმე როსტომის-ძე,

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოდაძე ელენე საშიკოს ასული,
ივანოვი ალექსანდრე დიმიტრის-ძე,
იმედაშვილი გიორგი ივანეს-ძე,
ირემაძე ბიქტორ გიორგის-ძე,
ირემაშვილი ნინო დიმიტრის ასული,
იურენკოვი ვასილი ივანეს-ძე,
იუსუფ ოღლი შახპანდარ,
კაზანოვი მიხეილ კახრამანის-ძე,
კაკოევი აღასი გიორგის-ძე,
კაკუტია იაკიმე ალექსის-ძე,
კალანდაძე გიორგი ბეჟანის-ძე,
კალანტაროვი ნიკოლოზ ნერსესის-ძე,
კარიაული ნიკოლოზ შიოს-ძე,
კასპლერი გრიგოლ იოსების-ძე,
კასუმიანი ანტონ ნიკოლოზის-ძე,
კეთილაძე ვლადიმერ ქაიხოსროს-ძე,
კეჟერაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე,
კიტოვანი ანასტასია სიმონის ასული,
კობერიძე ბესარიონ როსტომის-ძე,
კოვალენკო აქვსენტი ათანასეს-ძე,
კოზენკო მიხეილ გრიგოლის-ძე,
კოკაია ბიქტორ ესეს-ძე,
კორძაძე ვასილ მიხეილის-ძე,
კოსარენკო ალექსანდრე ვასილის-ძე,
კოტოლოაშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე,
კუკსენკო ვასილ პეტრეს-ძე,
კუპრიხინი ივანე ანდრიას-ძე,
კუტუზოვი პავლე ტიხონის-ძე,
ლაბაძე ზაქარია მიხეილის-ძე,
ლაგვილავა ნესტორ ივაკის-ძე,
ლაშქარავა კალისტრატე მელიტონის-ძე,
ლაშქარაშვილი ვერა ნიკიფორეს ასული,
ლეკვეიშვილი ალექსანდრე ონისიმეს-ძე,
ლეჟავა ვარლამ დიომიდეს-ძე,
ლომიძე ნატალია ჩიტოს ასული,
ლორია ოლღა ივანეს ასული,
ლუკინოვი დიმიტრი ანტონის-ძე,
მაზურენკო ვლადიმერ იუსტინეს-ძე,
მათიაშვილი ვლადიმერ მიხეილის-ძე,
მაისურაძე ილია ლუარსაბის-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარაქველიძე იულია სიმონის ასული,
მარგალიტაძე ვასილ ვლადიმერის-ძე,
მარგიანი ალექსანდრე ევგენის-ძე,
მაჩაიძე მიხეილ სიმონის-ძე,
მდინარაძე დავით იორდანის-ძე,
მებუკე გერონტი მიხეილის-ძე,
მეგრელაძე ელენე ლუკას ასული,
მეკოკიშვილი ივანე სოლომონის-ძე,
მელოიანი მიხეილ ავეტისის-ძე,
მესხი ევა გიორგის ასული,
მენთეშაშვილი მიხეილ სოლომონის-ძე,
მეფარიშვილი ივანე ივლიანეს-ძე,
მზარეულაშვილი ნასია მიხეილის ასული,
მიდელაური ანტონ დარჩოს-ძე,
მინდიაშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე,
მირიმანოვი იოსებ მიხეილის-ძე,
მიქაბერიძე კონსტანტინე გიორგის ძე,
მიქაძე ალექსანდრე ანდრიას-ძე,
მიქელაძე ლავრენტი გიორგის-ძე,
მიქელაძე ამბერკი ივანეს-ძე,
მიქეილოვი რუსტამ მიქეილ ოღლი,
მოსიაშვილი ეკატერინე გრიგოლის ასული,
მუმლაძე კალენიკე ვახუშტის-ძე,
მურღულია ბათლომე შოშიას-ძე,
ნაზაროვი ივანე კარპის-ძე,
ნალბანდიანი ზაბელ ყაზარის ასული,
ნარსია დავით ივანეს-ძე,
ნახატაკიან აღასი თათულის-ძე,
ნიკიტინა კლავდია ვასილის ასული,
ობუხოვი ალექსი პეტრეს-ძე,
ოგანოვი გიორგი არუთინის-ძე,
ოგანეზოვი იაკობ გუკასის-ძე,
ოდიშარია ბორის გიორგის-ძე,
ორჯონიკიძე ზაქარია ალექსანდრეს-ძე,
ოჩიგავა ალექსანდრე ისიდორეს-ძე,
პაპალაშვილი ძოსე გიგლას-ძე,
პართენავა ალექსანდრე მელიტონის-ძე,
პატარაია მაშიკო დავითის ასული,
პატარკაციშვილი გიორგი საბას-ძე,
პენიშევა იულია პავლეს ასული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტროსიან ცოლაკ არუთინის-ძე,
ჟვანია კალისტრატე ნესტორის-ძე,
რევინი სერგო ივანეს-ძე,
რევიშვილი ოლღა ალექსანდრეს ასული,
რობიტაშვილი ვლადიმერ ზაალის-ძე,
რუსნიაკი თედორე კირილეს-ძე,
სააკოვი იაკობ იაგორის-ძე,
საფროშინი დიმიტრი ალექსის-ძე,
საღარეიშვილი რაჟდენ დიმიტრის-ძე,
საღარეიშვილი სერგო ტიმოთეს-ძე,
სახვაძე გერონტი ყაფლამის ძე,
სიჭინავა კონსტანტინე იაკობის-ძე,
სნიკარი ივანე ტიმოთეს-ძე,
სობოლევი იაკობ პავლეს-ძე,
სოფრონოვი გიორგი ანთიმოს-ძე,
სტეფანიანი სერგო პასკოს-ძე,
სხულუხია პლატონ ლუკას-ძე,
ტარასოვი ალექსანდრე პეტრეს-ძე,
ტეფნაძე ვლადიმერ გიორგის-ძე,
ტკაჩ ნიკოლოზ მიხეილის-ძე,
ტროშჩი ლეონიდ კლიმენტის-ძე,
ტუმანცევი კონსტანტინე ალექსის-ძე,
ფალავანდიშვილი ივანე ალექსანდრეს-ძე,
ფედოროვი კარპ თედორეს-ძე,
ფილიევი მელიტონ ქიმიშის-ძე,
ფილოენკო პავლე თედორეს-ძე,
ფირანაშვილი არსენ სოლომონის-ძე,
ფოცხვერაშვილი პავლე სოლომონის-ძე,
ფოფხაძე არსენ გიორგის-ძე,
ქაშიბაძე იოსებ ივანეს-ძე,
ქორჩილავა აქვსენტი გიორგის-ძე,
ქუთათელაძე ქრისტეფორე ამბაკოს-ძე,
ღადუა ლავრენტი ძუკუს-ძე.
ღვინიაშვილი ნინო ალექსანდრეს ასული,
ყიფიანი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე,
შავიშვილი მატრონა იასონის ასული,
შავიძე შალვა პანტელეიმონის-ძე,
შანიძე გიორგი მარკოზის-ძე,
შაპირო ეფიმ ბორისის-ძე,
შელია ლეონტი კუტულას-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენგელია პორფირე სტეფანეს-ძე,
შეროზია გიორგი ნესტორის-ძე,
შირკოვი ივანე ზაქარიას-ძე,
შოვნაძე გიორგი იაკობის-ძე,
შუბითიძე სერგო ვასილის-ძე,
შუკაკიძე დომენტი იასონის-ძე,
შუკაკიძე აქვსენტი გედევანის-ძე,
შულკევიჩი მიხეილ ფილიმონის-ძე,
შუშანაშვილი არჩილ ალექსის-ძე,
ჩაკალოვი ისაკ სიმონის-ძე,
ჩახვაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე,
ჩიჩავა ალფეზ პლატონის-ძე,
ჩაჩუა ვლადიმერ სარდიონის-ძე,
ჩერნიშევი სერგეი ვასილის-ძე,
ჩეპურინი პეტრე ვასილის-ძე,
ჩერნეცი ვასილი არტემის-ძე,
ჩეხერია კასიანე ლუკას-ძე,
ჩიფლიკიანი ელია ენოქის-ძე,
ჩუტლაშვილი ბიქტორ ზაქარიას-ძე,
ჩხატარაშვილი პატკულია დავითის ასული,
ჩხიკვაძე მერი ლავროსის ასული,
ციხისელი ერემია სოლომონის-ძე,
ციყელაშვილი ივანე იოსების-ძე,
ძაგნიძე ეზეკი ვასილის-ძე,
ძურძუკი გიორგი იაკობის-ძე,
წერეთელი მედეა იოსების ასული,
წიკლაური ნატალია გიორგის ასული,
წიქორიძე ივანე ნიკოლოზის-ძე,
ჭანტურია ნესტორ სოლომონის-ძე,
ჭეიშვილი მიხეილ სოლომონის-ძე,
ჭელიძე სერგო ქრისტეფორეს-ძე,
ჭონიაშვილი არშაკ იოსების-ძე,
ჭურღულია იპოლიტე კიმოთეს-ძე,
ხარებოვი ზელიმხან არსენის-ძე,
ხატკევიჩი თედორე ტროფიმეს-ძე,
ხაჩიძე დავით ნიკოლოზის-ძე,
ხეჩანოვი სურენ ბაგრატის-ძე,
ხეცაძე ვარლამ ირაკლის-ძე,
ხეჩიკაშვილი პარმენ ალექსანდრეს-ძე,
ხიზანაშვილი გიორგი ვასილის-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდკევიჩი ნიკოლოზ გიორგის-ძე,
ხოშტარია ალექსანდრე თედორეს-ძე,
ხრომოვი თედორე მაქსიმეს-ძე,
ხუბუა ალექსანდრე სტეფანეს-ძე,
ხუბულოვი ხეთან ივანეს-ძე,
ხუმარაძე შოთა გიორგის-ძე,
ხუციშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე,
ჯალაღანია იუსტინა ივანეს ასული,
ჯამგაროვი მიხეილ ლევანის-ძე,
ჯანელიძე ნოე არსენის-ძე,
ჯანელიძე შალვა ნესტორის-ძე,
ჯიქურაშვილი ვახტანგ კიმოთეს-ძე,
ჯიშკარიანი გიორგი დიმიტრის-ძე,
ჯლამაია ელენე ქესქიას ასული,
ჰასანოვი მეხრალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

თბილისი
1939 წ. 23 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV. საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობის შესახებ

ა/წ. 20 ივლისიდან 23 ივლისამდე ქ. თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

20 ივლისის, საღამოს სხდომაზე მიღებულ იქნა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ;

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ;

4. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77, 86, 87, 88 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ;

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველ და მეორე სესიებს შორის და რომლებიც უნდა დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1939 წ. სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, რომელიც შემოიტანა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად. ამხ. კ. ს. ციმაკურიძის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრი დეპუტატი ა. ვ. ჯორბენაძე.

21 და 22 ივლისის სხდომებზე „საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებაზე“ მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ს. გ. ბაზანდარაშვილმა (გორის სასოფლო ოლქი), ვ. ი. ხუბაევმა (სტალინირის სასოფლო ოლქი), ნ. ი. გიგაურმა—ჩარკვიანმა (ხაშმის ოლქი), გ. ი. კიკნაძემ (ნასაკირალის ოლქი), ვ. მ. მაზიაშვილმა (ზემო მაჩხაანის ოლქი), ნ. ა. ჯინჭარაძემ (ქუთაისი—ვოროშილოვის ოლქი), ა. ა. აბარიანმა (ქ. თბილისი—ურიცკის ოლქი), ს. მ. ჭელიძემ (ალპანის ოლქი) და სხვა.

22 ივლის დილის სხდომაზე ფინანსთა სახალხო კომისრის კ. ს. ციმაკურიძისა და საბიუჯეტო კომისიის წევრის ა. ვ. ჯორბენაძის საბოლოო სიტყვების შემდეგ დამტკიცდა საქართველოს სსრ 1939 წლის ბიუჯეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 ივლისის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა დეპუტატ ი. ყ. თავაძის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. ფ. ჯავახია, უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩეულ იქნა 32 კაცი. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 253 სახალხო მსაჯული.

23 ივლისის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ გ. თ. სტურუას მოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნაზე.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა კანონი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87, 88 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ. მოხსენების შემდეგ სესიამ დაამტკიცა: 1) საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 77, 86, 87, 88 მუხლების ცვლილებანი და დამატებანი და 2) კანონი (დებულება) საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.

ამავე სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის მეორე მოხსენების შემდეგ სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველ და მეორე სესიას შორის პერიოდში მიღებული ბრძანებულებები: ა) ქალაქ თბილისში ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიას სახელობის ახალი რაიონების შექმნის შესახებ, ბ) თბილისის სასოფლო რაიონის თბილისისა და მცხეთის რაიონებად გაყოფის შესახებ, ვ) ქუთაისის რაიონის ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებად გაყოფისა და ქუთაისის რაიონიდან ქალაქ ქუთაისის გამოყოფის შესახებ, გ) ჭიათურის რაიონის ჭიათურისა და საჩხერის რაიონებად გაყოფის შესახებ, დ) ხაშურის რაიონის ხაშურისა და ქარელის რაიონებად გაყოფის შესახებ.

ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნის შესაბამისად სესიამ სათანადო ცვლილებანი შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მე-19 და 107 მუხლებში.

სესიის მიერ დამტკიცებულ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 11 და 17 ივლისის ბრძანებულებანი: ა) კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატად და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყოფის შესახებ, ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ, ვ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს დაარსების შესახებ.

ამის შესაბამისად სესიამ სათანადო ცვლილებანი შეიტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 50, 55 და 81 მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დაამტკიცა ბრძანებულება ს. გ. ხოშტარიას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ და აგრეთვე პრეზიდიუმის ბრძანებულებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისრებად დანიშვნის შესახებ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ა. ნ. რაფავას დანიშვნის შესახებ, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად ვ. ბ. გოგუას დანიშვნის შესახებ, კვების მრეწველობის სახალხო კომისრად ი. ა. წიკლაურის დანიშვნის შესახებ, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად ნ. ა. გიორგაძის დანიშვნის შესახებ და საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად ა. ვ. ბუხნიკაშვილის დანიშვნის შესახებ.

ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა ქალაქ თბილისისა და ქუთაისის, თელავის, ზუგდიდისა და ხაშურის რაიონების დეპუტატების ჯგუფის დავალებით ვ. ი. ეგნატაშვილის წინადადება ლ. პ. ბერიას, მისი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დამტკიცებისა და სსრ კავშირის მთავრობაში შეყვანის გამო, და მ. მ. გვიშიანის, მისი საქართველოს სსრ გარეთ სამუშაოდ გადაყვანის გამო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების მოვალეობისაგან, ხოლო მ. მ. გვიშიანის—აგრეთვე უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ მ. ი. ჯაში და ი. ა. დევსურაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ი. ნარსია.

ამით დაამთავრა თავისი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ.

ამა წლის 4—6 აგვისტოს ქ. სოხუმში მიმდინარეობდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ამხ. ა. მ. ჭოჭუამ.

სესიამ დაამტკიცა მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. აფხაზეთის ასსრ 1939 წ. ბიუჯეტისა და 1937 წ. და 1938 წ. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ;

3. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) ზოგიერთ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ;

5. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველი და მეორე სესიებს შორის პერიოდში და რომელიც უნდა დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ს. კ. მათითაშვილი. იმავე საკითხზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებით გამოვიდა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი კ. ს. ცეკვავა. იმავე სხდომაზე გაიხსნა კამათი მოხსენების ირგვლივ.

კამათი გრძელდებოდა 5 აგვისტოს დილის და საღამოს სხდომაზე.

კამათის დამთავრებისას და მომხსენებლის—აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ს. კ. მათითაშვილისა და თანამომხსენებლის—უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ კ. ს. ცეკვავას საბოლოო სიტყვების შემდეგ სესიამ დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ 1939 წლის ბიუჯეტი.

ამის შემდეგ სესიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრის ნ. ი. ბოკუჩავას მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე—აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ.

6 აგვისტოს დილის სხდომაზე სესიამ აირჩია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ დეპუტატი ტ. თ. ანთია და იმავე სასამართლოს 8 წევრი. სესიამ აირჩია აგრეთვე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 115 სახალხო მსაჯული.

იმავე სხდომაზე სესიამ მოისმინა დეპუტატ ტ. თ. ანთიას მოხსენება დღის წესრიგის მესამე საკითხზე—აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ და დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 28 და 108 მუხლების ცვლილება.

იმავე სხდომაზე სესიამ მოისმინა დეპუტატ ნ. გერიას მოხსენება დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე—აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების პროექტის შესახებ და კამათის შემდეგ დაამტკიცა ეს პროექტი.

6 აგვისტოს საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. ლ. ხაშბას მოხსენება დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე—აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პირველი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სესიებს შორის და რომლებიც უნდა დაემტკიცებინა უმაღლეს საბჭოს რის შემდეგაც დაამტკიცა ეს ბრძანებულებანი.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 28 მუხლის შესაბამისად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა და პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა დეპუტატი ნ. ჯ. ბერულავა.

დეპუტატ რ. გოგოხიას კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნასთან დაკავშირებით იგი განთავისუფლებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეულ იქნა დეპუტატი ა. ქ. ბერია.

დეპუტატ ნ. ა. გიორგაძის აფხაზეთის ასსრ გარეთ სამუშაოზე გადასვლის გამო იგი განთავისუფლებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატი ა. ზ. ქობულოვის აფხაზეთის ასსრ გარეთ სამუშაოზე გადასვლის გამო იგი განთავისუფლებულ იქნა საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საბიუჯეტო კომისიის წევრად არჩეულ იქნა დეპუტატი დ. ვ. ალანია.

საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამავე კომისიის წევრი დეპუტატი ა. ქ. ბერია, ხოლო კომისიის წევრად—დეპუტატი ს. მ. ბადია.

ამით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შესახებ

ამა წლის 5—8 აგვისტოს ქ. ბათუმში მიმდინარეობდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. გ. კორძაიამ.

სესიამ დაამტკიცა მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. აჭარის ასსრ 1939 წლის ბიუჯეტისა და 1937 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

2. აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ;

3. აჭარის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 108 მუხლის ცვლილებისა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ;

4. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველი და მეორე სესიებს შორის პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარი დეპუტატი ბ. ხ. ხალვაში. იმავე საკითხზე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებით გამოვიდა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ზ. ა. პირიაშვილი. იმავე სხდომაზე გაიხსნა კამათი მოხსენების ირგვლივ.

კამათი გრძელდებოდა 6 აგვისტოს დილის სხდომაზე.

7 აგვისტოს დილის სხდომაზე მომხსენებლის—აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ ბ. ხ. ხალვაშისა და თანამომხსენებლის—აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. პირიაშვილის საბოლოო სიტყვების შემდეგ სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ 1939 წ. ბიუჯეტი.

ამის შემდეგ სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრის დეპუტატ რ. ა. ჯინჭარაძის მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე—აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ.

სესიამ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ დ. ა. ფალავა და იმავე სასამართლოს 8 წევრი. არჩეულ იქნა აგრეთვე აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს 140 სახალხო მსაჯული.

7 აგვისტოს საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ნ. გ. ასათიანის მოხსენება დღის წესრიგის მესამე საკითხზე—აჭარის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 108 მუხლის ცვლილებისა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების პროექტის შესახებ. იმავე სხდომაზე გაიხსნა კამათი ამ მოხსენების ირგვლივ.

8 აგვისტოს დილის სხდომაზე სესიამ მიიღო აჭარის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 108 მუხლის ცვლილება და დაამტკიცა დებულება აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.

ამის შემდეგ სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ნ. გ. ასათიანის მოხსენება აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პირველ და მეორე სესიებს შორის, და დაამტკიცა ეს ბრძანებულებანი.

დეპუტატების ა. ნ. საჯაიას და დ. ა. კაპანაძის აჭარის ასსრ გარეთ სამუშაოზე გადასვლის გამო ისინი განთავისუფლებულ იქნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების მოვალეობისაგან.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნენ დეპუტატები ო. გ. ჯიბლაძე და ი. ხ. კაიკაციშვილი.

ამით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

8 958

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქუჩა № 28.

მთავლიტის რწმუნებული № ბ—1628. შეკვ. № 956. ტირაჟი 4.000.